სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
2024 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის დამხმარე მეთოდოლოგიას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავებისთვის. დოკუმენტში განხილულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების კითხვარით დადგენილი მოთხოვნების შესრულების გზები და წესები, ცალკეულ პროცესებთან მიმართებაში გაწერილია სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, ასევე მოცემულია ალტერნატიული მიდგომები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს დაწესებულებამ 4.5. კომპონენტით განსაზღვრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სარჩევი

ტერმინთა განმარტება 3
შესავალი 4
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი 5
თავი I. წყალმომარაგების და წყალარინების უზრუნველყოფა 7
თავი II. მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი 22
თავი III. მოთხოვნები სანიტარულ-ჰიგიენური (ნორმებისადმი) პირობების დაცვისადმი 25
თავი IV. მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი 30
თავი V. სტანდარტული ოპერაციული პროცედურები 32
სოპ-ის ნიმუში 34

ტერმინთა განმარტება

მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები - დაწესებულების საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ფუნდამენტური ზომები, რომელიც ადგენს ძირითად გარემო და საწარმოო სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებს.

სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ) - დაწესებულების მიერ დამტკიცებული და დანერგილი დოკუმენტი, რომელიც არის კონკრეტული ფუნქციის, დავალების, პროცესის, თუ მეთოდის დეტალური ინსტრუქცია.

რისკი - ადამიანის ჯანმრთელობაზე საფრთხის ზემოქმედებისას მისი გავლენის ალბათობა და სიმძიმე.

დაბინძურება - ნებისმიერი ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტის, უცხო სხეულის ან სხვა ნივთიერებების მოხვედრა ან არსებობა წყალსა და საწარმოო გარემოში.

დეზინფექცია - ბიოლოგიური ან ქიმიური აგენტების და/ან ფიზიკური მეთოდების მეშვეობით ზედაპირებზე, წყალში ან ჰაერში ცოცხალი მიკროორგანიზმების რაოდენობრივი შემცირება იმ დონემდე, რომელიც განაპირობებს რისკის მინიმიზაციას.

გადახრა - სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა.

მონიტორინგი - ქმედება, რომელიც ხორციელდება საკონტროლო პარამეტრებზე დაგეგმილი თანმიმდევრობითი დაკვირვებების ან გაზომვების ჩასატარებლად, რათა შეფასდეს, არის თუ არა კონტროლის ზომები კონტროლის ქვეშ.

მაკორექტირებელი ქმედება - ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც სრულდება გადახრის წარმოქმნისას კონტროლის ხელახლა დამყარების, არსებობის შემთხვევაში, დეფექტური პროდუქტების განცალკევებისა და განთავსების განსაზღვრის მიზნით და გადახრის ხელახალი წარმოქმნის პრევენციის ან შემცირებისათვის.

ვერიფიკაცია - მეთოდების, პროცედურების, ტესტებისა და სხვა შეფასებების გამოყენება მონიტორინგის დამატებით, რათა განისაზღვროს, კონტროლის ზომები ფუნქციონირებს თუ არა მიზნობრივად.

ჩანაწერი - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ შედეგები მიღწეულია ან წარმოადგენს შესრულებული ღონისძიებების მტკიცებულებას.

შესავალი

2023 წლის 21 თებერვალს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის N76 დადგენილება „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“. დადგენილებამ განსაზღვრა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირისათვის, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების (შემდგომში – დაწესებულება/ბაღი) სტატუსის მოპოვების მიზნით ავტორიზაციის სტანდარტები, ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების პირობები და პროცედურები, ასევე ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელების პროცედურა.

დადგენილებაში მოცემულია 4 სტანდარტი, კერძოდ:

1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;
2) კურიკულუმი;
3) ოჯახისა და თემის ჩართულობა;
4) სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა.

ავტორიზაციის თითოეული სტანდარტი შედგება კომპონენტებისგან. მე-4 სტანდარტის ერთ-ერთი კომპონენტია (კომპონენტი 4.5.) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. წინამდებარე მეთოდური მითითებების შემუშავების მიზანია, დაეხმაროს დაწესებულებას მე-4 სტანდარტის 4.5. კომპონენტით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებაში. აღნიშნულისათვის მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია მე-4 სტანდარტის 4.5 კომპონენტში მოცემული მოთხოვნების შესრულების გზები, ასევე დანართების სახით მოცემულია სტანდარტული ოპერაციული პროცედურები და შესაბამისი ჩანაწერების ფორმები.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის დოკუმენტი არის სარეკომენდაციო ხასიათის. დაწესებულება უფლებამოსილია შეიმუშაოს სტანდარტის დაკმაყოფილების სხვა ალტერნატიული მიდგომა, იმ პირობით, რომ სტანდარტის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა დასაბუთებული იქნება დაწესებულების მიერ.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი

დაწესებულებას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით შემუშავებული უნდა ჰქონდეს მექანიზმი.

აღნიშნულ მექანიზმში სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრული უნდა იყოს წყალმომარაგებისა და წყალარინების საკითხები, შენობის შიდა და გარე სათავსების, ინვენტარისა და მატერიალური რესურსის დალაგების წესი და სიხშირე, დასუფთავების და ნარჩენების მართვის საკითხები, საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვის საკითხი, ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის გზები.

მნიშვნელოვანია, რომ მექანიზმი დანართის სახით უნდა მოიცავდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (შემდგომში-სოპ) ნიმუშს, რომლის გამოყენებითაც იქნება შედგენილი ბაღის სოპ-ები. ასევე, ამავე მექანიზმის დანართებად განსაზღვრული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებული ყველა სოპ-ი და შესრულებული სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალები.

მექანიზმი და მისი შესაბამისი სოპ-ები დაწესებულებაში დამტკიცებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში, რომლებიც შედიან გაერთიანების ქვეშ, მექანიზმს და შესაბამის სოპ-ებს ამტკიცებს გაერთიანების ხელმძღვანელი და ის საერთოა გაერთიანებაში არსებული ყველა ბაღისთვის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას, რომ შესრულებული სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალების წარმოება უნდა ხორციელდებოდეს უშუალოდ ბაღებში. კერძო ბაღების და იმ საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში, რომლებიც დაფუძნებული არიან დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად, მექანიზმს ამტკიცებს დაწესებულების წესდებით ან სხვა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

მექანიზმი უნდა შემუშავდეს დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლების ჩართულობით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შედგეს სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იქნებიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები. საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში, რომლებიც აერთიანებენ ბაღებს, მნიშვნელოვანია, რომ მექანიზმის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ კონკრეტული ბაღების უფლებამოსილი თანამშრომლები.

მექანიზმის შემუშავების შემდეგ მნიშვნელოვანია მოხდეს მისი გაზიარება და გაცნობა ბაღის დანარჩენ პერსონალთან, განსაკუთრებით კი იმ პირებთან, ვისაც უშუალოდ მოუწევს სოპ-ებით განსაზღვრული პროცედურების შესრულება.

მექანიზმის ეფექტიანი დანერგვის მიზნით რეკომენდებულია შესაბამის პასუხისმგებელ პირებს პირველ ეტაპზე ჩაუტარდეთ ტრენინგი, სადაც ახსნილი იქნება თითოეული პროცედურის შინაარსი და მნიშვნელობა, ამ პროცედურის განხორციელების მეთოდი და სიხშირე, ახსნილი იქნება სოპ-ის სტრუქტურა და შინაარსი, ასევე ჟურნალების შევსების წესი. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ინფორმაცია მიაწოდოს თითოეულ სოპ-ში

პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულ თანამშრომელს იმ ვალდებულებების შესახებ, რომელსაც აღნიშნული დოკუმენტი აკისრებს მას.

დაწესებულება მექანიზმის შემუშავების პროცესში რეკომენდებულია დაეფუძნოს წინამდებარე მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს, ასევე, ბაღი უფლებამოსილია აქ მოცემული ალტერნატივებიდან აირჩიოს და დანერგოს ის, რომლის განხორციელებასაც უფრო ეფექტიანად შეძლებს ან შეიმუშაოს მექანიზმის საკუთარი შეხედულებით.

მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ პერიოდულად შეაფასოს მეთოდოლოგიით განსაზღვრული მიდგომების ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს მასში შესაბამისი ცვლილებები. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე მიზეზით:

ა) **კონკრეტული პროცესის მონიტორინგის ან ვერიფიკაციის დროს დამდგარი შედეგიდან გამომდინარე** - მონიტორინგის პროცედურამ აჩვენა რომ დადგენილი მეთოდით კონკრეტული პროცესის განხორციელება არაა ეფექტიანი და საჭიროებს დამატებითი პროცედურების განხორციელებას, ასევე, ვერიფიკაციის დროს გამოიკვეთა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება აღნიშნულ პროცესს უფრო ეფექტიანს გახდის;

ბ) **კონკრეტული პროცესის საფუძვლების შეცვლა** - დაწესებულების მიერ განსახორციელებელ თითოეულ პროცედურას აქვთ თავისი საფუძველი, ძირითად შემთხვევაში ეს არის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და რეგულაციები. აღნიშნული რეგულაციების შეცვლის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იქნება დაწესებულება მიუბრუნდეს კონკრეტულ სოპ-ს და მოიყვანოს ის შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილ ახალ მოთხოვნებთან;

გ) **კონკრეტული ბაღის/თანამშრომლის ინიციატივის საფუძველზე** - როგორც წესი, კონკრეტული პროცედურის განმახორციელებლები უკეთ ხვდებიან როგორ შეიძლება ამ პროცედურის შემდგომი განვითარება ისე, რომ ის განხორციელდეს უფრო ეფექტიანად. ეფექტიანობის გაზრდაში შეიძლება იგულისხმებოდეს: კონკრეტული პროცედურის უფრო მოკლე დროში ან უფრო ნაკლები დანახარჯებით განხორციელება; კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესება, დოკუმენტაციის წარმოების გზის შეცვლა (მაგ: ხელით შევსებული ფორმებიდან ელექტრონულ ფორმებზე გადასვლა) და სხვა;

დ) **სხვა შემთხვევები.**

მნიშვნელოვანია, ბაღს მექანიზმში გაწერილი ჰქონდეს აღნიშნული ცვლილებების შეტანის პროცედურა, რაც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ცვლილების ინიცირება;
- ცვლილების განხილვა;
- ცვლილებების მექანიზმში/სოპ-ში ასახვა და დამტკიცება;
- დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

თავი I. წყალმომარაგების და წყალარინების უზრუნველყოფა

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სასმელი წყლის ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ამ პრობლემის სიმწვავე განპირობებულია წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული მდგომარეობის სხვადასხვაობით რეგიონების მიხედვით და წყალმომარაგების სისტემებში წყლის გაწმენდის და გაუვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სიძნელეებით. უხარისხო სასმელი წყლის გამოყენებასთან დაკავშირებულია სხვადასხვა დაავადებები. როგორებიცაა: ნაწლავთა მწვავე ინფექციები, ვირუსული ინფექციები, მწვავე და ქრონიკული მოშხამვები და ა.შ. სასმელად უვარგისი წყლის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება იყოს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი.

დაწესებულებაში სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და მისი ხარისხი შეესაბამებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1.1. სასმელი წყალი დაწესებულებას შესაძლებელია მიეწოდოს ცენტრალიზებულად (წყლის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ) ან არაცენტრალიზებულად (არტეზიული ჭიდან).

ცენტრალური წყალმომარაგების არსებობის შემთხვევაში დაწესებულებამ მექანიზმში აუცილებლად უნდა მიუთითოს შესაბამისი მომწოდებელი, გამართული შიდა ქსელის დამადასტურებელი მტკიცებულებები (მაგ: ქსელის ნახაზი, წყალმდენი მილების მასალა და ა.შ.) და აბონენტად რეგისტრაციის მოწმობა.

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეუფერხებლად განხორციელებისთვის აუცილებელია მუდმივი წყალმომარაგების უზრუნველყოფა, როგორც ცივი ასევე ცხელი წყლით. დაწესებულებაში ცივი და ცხელი წყლის გამოყენება ხორციელდება სხვადასხვა მიზნებისთვის კერძოდ: ინფრასტრუქტურის (იატაკი, ჭერი, კედლები, კარ-ფანჯარა და ა.შ.), მოწყობილობების, აღჭურვილობის, ინვენტარის, სურსათის გასარეცხად, გათბობის სისტემებისთვის, პერსონალის და ბავშვების პირადი ჰიგიენისათვის და სხვა.

დაწესებულებას წყალმომარაგების უზრუნველყოფისთვის შეიძლება ჰქონდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ალტერნატივებიდან ერთ-ერთი:

- **პირველი ალტერნატივა** - დაწესებულება მიერთებულია ცენტრალურ წყალმომარაგების ქსელზე, რომელიც შეუფერხებლად აწვდის საჭირო რაოდენობის და დამაკმაყოფილებელი ხარისხის წყალს;

- **მეორე ალტერნატივა** - დაწესებულება მიერთებულია ცენტრალური წყალმომარაგების ქსელზე, რომელიც დაწესებულებას აწვდის წყალს გრაფიკით ან მიწოდება არასტაბილურია, წყლის ხარისხი დამაკმაყოფილებელია;
- **მესამე ალტერნატივა** - დაწესებულება არ არის მიერთებული ცენტრალურ წყალმომარაგების ქსელზე, მიერთებულია არტეზიანულ ან ბუნებრივ წყაროზე;
- **მეოთხე ალტერნატივა** - დაწესებულება არ არის მიერთებული წყალმომარაგების ქსელზე, არ გააჩნია არტეზიანული ან სხვა წყარო.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პირველ შემთხვევაში დაწესებულება სრულად და მუდმივად უზრუნველყოფილია წყალმომარაგების სისტემით და მას დამატებითი ძალისხმევის გაწევა ამ მიმართულებით არ სჭირდება.

მეორე შემთხვევაში წყალმომარაგების უწყვეტი მიწოდებისთვის აუცილებელია სასმელი წყლის ავზის მოწყობა. წყლის ავზის მოცულობა რეკომენდებულია დაანგარიშდეს ბავშვების და პერსონალის რაოდენობიდან გამომდინარე და წყლის რაოდენობა გათვლილი იყოს ორი დღის მოხმარებაზე ქსელის ავარიის შემთხვევაში.

ავზების მოცულობების გაანგარიშება შეიძლება განხორციელდეს შემდეგ რეკომენდაციებზე დაყრდნობით: WHO-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის) რეკომენდაციების თანახმად ერთ პირზე საჭიროა 5 ლ წყალი, სან-კვანძებში ჩასარეცხად -1,5-3ლ. მოცემული სახელმძღვანელო ციფრები მოიცავს სასმელად გამოყენებულ წყალს, ხელების ჰიგიენას, დასუფთავებას და საჭიროების შემთხვევაში, სურსათის მომზადებას და რეცხვას (WFP/UNESCO/WHO, 1999).

მესამე შემთხვევაში - თუ ბაღი არ არის მიერთებული ცენტრალურ წყალმომარაგების ქსელზე და მარაგდება არტეზიული ჭის წყლით, დაცული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები:

- ჭა უნდა იყოს თავდახურული და ჩაკეტილი; ჭის კედლები უნდა იყოს მჭიდრო, ზედაპირული წყლის ჩაწრეტისა და ნიადაგის ზედა ფენის წყლის შეღწევისაგან კარგად იზოლირებული;
- ჭა განთავსებული უნდა იყოს არანაკლებს 30 მეტრის დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან (მაგ: ტუალეტი ორმოზე, ადამიანისა და ცხოველების სამარხი ადგილი, სასუქებისა და შხამქიმიკატების საწყობი, ადგილობრივი სამრეწველო საწარმოები, საკანალიზაციო მოწყობილობები და სხვა) რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიოს წყლის დაბინძურება;
- ჭას უნდა ჰქონდეს ღობე ცხოველებისგან დასაცავად;
- არ უნდა ხდებოდეს პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100 მეტრ რადიუსში;
- ჭის ამოსაღები სათლი სუფთად უნდა ინახებოდეს.

არტეზიულ ჭასთან მიმართებით ასევე, დაცული უნდა იყოს შემდეგი პროცედურები:

- ჭა უნდა შემოწმდეს სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად რაც უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით **(დანართი N1).**
- სტრუქტურული მთლიანობის დადგენის მიზნით, რეგულარულად (დაწესებულების მიერ შესაბამის სოპ-ში გაწერილი პერიოდულობით) უნდა შემოწმდეს ჭის შიდა და გარე კედელი, მიწისზედა ნაწილი, სახურავი.
- ჭა შემოღობილი უნდა იყოს ცხოველებისგან დაცვის მიზნით. შემოღობვის მთლიანობა არ უნდა იყოს დარღვეული.
- ჭის გარშემო მოწყობილი უნდა იყოს სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.
- წყლის ამოსაღები სათლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუფთად უნდა ინახებოდეს.
- თუ არტეზიული ჭიდან მიღებული წყალი გროვდება წყლის ავზში, დაწესებულებამ უნდა მოახდინოს აღნიშნული ავზის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დაწესებულებას ჰქონდეს ორი განცალკევებული ავზი: სასმელი წლისთვის და ტექნიკური წლისთვის.

რეკომენდირებულია, მაგრამ არასავალდებულო

- ჭა არ უნდა მოეწყოს წყალდიდობისას დატბორილ, დაჭაობებულ, დამეწყრილ ან სხვა სახის დეფორმაციის მქონე უბნებზე;
- ჭა დაცილებული უნდა იყოს მაგისტრალურ გზას 30 მეტრით;
- ჭის მიწისზედა ნაწილი, მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 0,7-0,8 მ-ით უნდა იყოს დაცილებული, იგი იცავს ჭას დანაგვიანებისა და დაბინძურებისაგან;
- ჭის თავს უნდა ჰქონდეს საფარი ან რკინა-ბეტონის გადახურვა სახურავიანი ლიუკით. ზემოდან ჭის თავი დაცული უნდა იყოს ფარდულით ან ჯიხურით.
- ჭიდან 30 მ რადიუსზე არ დაიშვება მანქანების რეცხვა, ცხოველების დარწყულება, თეთრეულის რეცხვა და გავლება, სხვადასხვა სახის საქმიანობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წყლის დაბინძურება;
- ჭის თავი ირგვლივ უნდა მოპირკეთდეს 2 მ სიღრმისა და 1 მ სიგანის კარგად აზელილი და საგულდაგულოდ დატკეპნილი თიხის ან გაპოხილი თიხნარის „საკეტით“;
- ფართობი ჭიდან დრენაჟისკენ უნდა მოპირკეთდეს აგურით, ქვით, ბეტონით ან ასფალტით, არანაკლებ 2 მეტრი რადიუსით და 0,1 მეტრი დაქანებით, რაც უზრუნველყოფს წვიმისა და დაღვრილი წყალის არინებას;
- ჭასთან უნდა მოეწყოს მერხი სათლებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ჭის შიდა კედლების მოსაპირკეთებლად რეკომენდებულია ბეტონისა და რკინაბეტონის რგოლების გამოყენება, ასევე ქვის, აგურისა და ხის გამოყენება;

- ჭის კედლების მოსაპირკეთებელი ქვა (აგური), უნდა იყოს მკვრივი, ნახეთქების გარეშე, წყალს არ უნდა აძლევდეს შეფერილობას და ცემენტით ისევე უნდა ამოშენდეს, როგორც ბეტონისა და რკინაბეტონის რგოლები (ცემენტი უნდა იყოს მაღალი მარკის, მინარევების გარეშე);
- ჭის მიწისზედა ნაწილის მოსაწყობად გამოყენებული უნდა იყოს გარკვეული მერქნის ჯიშები – მორებისა და ძელების სახით, მაგ: ნაძვი, ფიჭვი, მურყანი, თელა, მუხა. ხის მასალა უნდა იყოს კარგი ხარისხის, ქერქისაგან გაწმენდილი, სწორი, ჯანმრთელი, ღრმა ბზარებისა და ჭიანების გარეშე, არ უნდა იყოს სოკოთი დასნებოვნებული და უნდა მომზადდეს 5-6 თვით ადრე;
- ჭებიდან წყლის ამოღება სხვადასხვა სამარჯვისა და მექანიზმის მეშვეობით უნდა მოხდეს, ჰიგიენური თვალსაზრისით, ყველაზე მისაღებია სხვადასხვა კონსტრუქციის ტუმბოს გამოყენება (ხელისა ან ელექტრული);
- თუ ჭის ტუმბოთი მოწყობა არ არის შესაძლებელი, დასაშვებია გამოიყენონ ჯალამბარი;
- ჭის გაწმენდა, მიმდინარე რემონტი და გასამაგრებელი სამუშაოები უნდა ხდებოდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ;
- ყოველი გაწმენდის ან რემონტის შემდეგ უნდა მოხდეს ჭის ქლორშემცველი რეაგენტებით დეზინფექცია და მისი შემდგომი გარეცხვა.

მეოთხე შემთხვევაში როცა დაწესებულება არ არის მიერთებული ქსელზე და არ გააჩნია არტეზიული ან სხვა წყარო, უნდა მოეწყოს სასმელი წყლის ავზი, რომლის მოცულობა იქნება გათვლილი სასმელად და ტექნიკური დანიშნულების გამოსაყენებლად. წყალი უნდა მარაგდებოდეს სპეციალური მანქანა-ცისტერნების მიერ.

ავზების მოცულობების გაანგარიშება შეიძლება განხორციელდეს შემდეგ რეკომენდაციებზე დაყრდნობით: WHO-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის) რეკომენდაციების თანახმად ერთ პირზე საჭიროა 5 ლ წყალი, სან-კვანძებში ჩასარეცხად -1,5-3 ლ. მოცემული სახელმძღვანელო ციფრები მოიცავს სასმელად გამოყენებულ წყალს, ხელების ჰიგიენას, დასუფთავებას და საჭიროების შემთხვევაში, სურსათის მომზადებას და რეცხვას (WFP/UNESCO/WHO, 1999).

თუ დაწესებულება არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემით, ცხელი წყლით მომარაგებული უნდა იყოს სულ მცირე კვების ბლოკი (სამზარეულო კერძების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონით), სან-კვანძები, სასადილო ოთახი (არსებობის შემთხვევაში) და სამრეცხაო (არსებობის შემთხვევაში).
ცხელი წყალმომარაგებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა საშუალებები მ.შ: ცენტრალური ან ადგილობრივი გათბობის სისტემა, წყლის გამაცხელებელი და სხვა.

1.2. დაწესებულებას უნდა გააჩნდეს სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდებისთვის დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს შემდეგი ალტერნატიული მიდგომები:

ა) ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება წყლის კონტეინერის საშუალებით;
ბ) ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება წყლის დისპენსერის საშუალებით;
გ) ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება წყლის შადრევნის საშუალებით;
დ) ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება დაფასოებული/ჩამოსხმული სახით, შესაბამის ტარაში.

განვიხილოთ თითოეული ალტერნატივა.

ა) ბავშვებისთვის სასმელ წყლის მიწოდება კონტეინერის საშუალებით - ბავშვებისთვის სასმელი წყლით უზრუნველყოფის ამ ფორმით გამოყენებისას კონტეინერი ყოველდღიურად, ან ყოველი დაცლისას უნდა გაირეცხოს, რაც უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურით **(დანართი N2).** კონტეინერის გასარეცხად აუცილებლად გამოყენებული უნდა იყოს სასმელი წყალი.

კონტეინერის რეცხვა უნდა განხორციელდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

- კონტეინერის რეცხვამდე, სასმელი წყლის ონკანიდან წყალი უნდა ვადინოთ 2-3 წუთის განმავლობაში;
- კონტეინერს რეცხვის მიზნით უნდა გამოევლოს სასმელი წყალი (მინიმუმ 2-ჯერ);
- კონტეინერი უნდა შეივსოს სასმელი წყლით;
- შევსებული კონტეინერი უნდა განთავსდეს მისთვის გამოყოფილ ადგილზე.

კონტეინერს უნდა ჰქონდეს თავსახური, მასში სასმელი წყლის შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა იყოს თავდახურული და არ უნდა იდგეს იატაკზე. კონტეინერი უნდა განთავსდეს შემაღლებულ ადგილზე მაგ: მაგიდაზე.

კონტეინერებად შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა ჭურჭელი. მაგ: დოქი, ჭურჭელი, გრაფინი, ბოთლი.

კონტეინერი უნდა იყოს სუფთა მდგომარეობაში და მასზე არ უნდა შეიმჩნეოდეს დაზიანების კვალი (გაბზარული, ჩამოტეხილი ადგილები და სხვა).

კონტეინერად მინის ან ისეთი ჭურჭლის გამოყენების შემთხვევაში, რომელიც ადვილად მტვრევადია, მისი მთლიანობა უნდა კონტროლდებოდეს რეგულარულად (დღეში

რამდენჯერმე) და განთავსებული უნდა იყოს ისეთ ადგილზე, რომელიც ბავშვისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი.

კონტეინერად არ შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი ჭურჭელი, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს წყლის დაბინძურება მაგ: რომელშიც ესხა საწვავი (ნავთი, ბენზინი, დიზელი), ზეთი, ქიმიური ნივთიერებები (სადეზინფექციო საშუალებები, სხვადასხვა ქიმიკატები, საღებავები და ა.შ.)

რეკომენდებულია, მაგრამ არასავალდებულო

- კონტეინერებს გაუკეთდეს შესაბამისი ეტიკეტები (წებვადი ქაღალდით ან სხვა საშუალებით), რომელზეც განთავსებული იქნება დაწესებულების მიერ მინიჭებული შიდა ნომერი (მზარდი ნუმერაციით: 1; 2; 3 და ა.შ) და ბავშვების ჯგუფის ნომრები. ნომრების მინიჭება საჭიროა კონტეინერის დაზიანებისა და გამოცვლის შემთხვევაში მიკვლევადობისთვის;
- კონტეინერის დამზადების მასალა დაშვებული იყოს სასმელი წყლის შესანახად, დაშვების დადასტურება უნდა მოხდეს კონტეინერის მწარმოებლის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტით, სერტიფიკატით ან სხვა რომელიმე დამადასტურებელი დოკუმენტით (მაგ: შესაბამისობის დეკლარაცია, ეტიკეტი, ანოტაცია, კონტეინერზე დატანილი სიმბოლო და სხვა);
- სასმელი წყლის კონტეინერს (დიდი ტევადობის) გარკვეული პერიოდულობით ჩაუტარდეს დეზინფექცია (სასურველია დეზინფექცია ჩატარდეს არა ნაკლებ თვეში ერთხელ, ან უფრო ხშირად);
- რეცხვა-დეზინფექციის ეფექტიანობის დადასტურების მიზნით, აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნეს ჩამონარეცხები კონტეინერიდან მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე, კერძოდ: მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები; საერთო კოლიფორმული ბაქტერიები; E.coli.

ბ) ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება დისპენსერის საშუალებით - ამ ფორმით ბავშვების სასმელი წყლით უზრუნველყოფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ერთჯერადი ჭიქები. ერთჯერადი ჭიქები და დისპენსერის ავზი უნდა იყოს სუფთა მდგომარეობაში და მასზე არ უნდა შეიმჩნეოდეს დაზიანების კვალი. ერთჯერადი ჭიქების და ავზის მთლიანობა უნდა კონტროლდებოდეს რეგულარულად (დღეში რამდენჯერმე).

დისპენსერის ავზად არ შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი ჭურჭელი, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს წყლის დაბინძურება მაგ: ჭურჭელი, რომელშიც ესხა საწვავი (ნავთი, ბენზინი, დიზელი), ზეთი, ქიმიური ნივთიერებები (სადეზინფექციო საშუალებები, სხვადასხვა ქიმიკატები, საღებავები და ა.შ.). დისპენსერის ავზი პერიოდულად უნდა ირეცხებოდეს და უტარდებოდეს დეზინფექცია, რაც უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით **(დანართი N3).**

დისპენსერის ავზის გასარეცხად აუცილებლად გამოყენებული უნდა იყოს სასმელი წყალი. დისპენსერის ავზის რეცხვა/დეზინფექცია უნდა განხორციელდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

- ავზის რეცხვა/დეზინფექციამდე, სასმელი წყლის ონკანიდან წყალი უნდა ვადინოთ 2-3 წუთის განმავლობაში;
- ავზს რეცხვის მიზნით უნდა გამოევლოს სასმელი წყალი (მინიმუმ 2-ჯერ);
- ავზს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია შესაბამისი კონცენტრაციის (სადეზინფექციო საშუალების ტექნიკურ პასპორტში, ანოტაციაში ან ეტიკეტზე მითითებული კონცენტრაცია) ქიმიური საშუალებით;
- გარკვეული დროის გასვლის (სადეზინფექციო საშუალების ტექნიკურ პასპორტში, ანოტაციაში ან ეტიკეტზე მითითებული დროის გათვალისწინებით) შემდეგ უნდა განხორციელდეს ავზის სასმელი წყლით გამოვლება (მინიმუმ 2-ჯერ);
- ავზი უნდა შეივსოს სასმელი წყლით და განთავსდეს დისპენსერზე.

ამასთან, დისპენსერის ავზის დეზინფექცია უნდა განხორციელდეს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებებით. აღნიშნული საშუალებების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: https://www.ncdc.ge/#/blog/blog-list/b7130a40-b29f-4c2a-b258-c213a04e2769.

დისპენსერის ავზის რეცხვისა და დეზინფექციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი ადგილების დეზინფექციას, სადაც მიკრობიოლოგიური დაბინძურების რისკი მაღალია, კერძოდ: ავზის ყელის დისპენსერთან შეხების ადგილი. სასმელი წყლის დისპენსერის ავზის რეცხვისა და დეზინფექციის პერიოდულობას ადგენს დაწესებულება, თუმცა სასურველია იგი განხორციელდეს ავზის ყოველი დაცლის შემდეგ.

სასმელი წყლის დისპენსერების ავზებს უნდა გაუკეთდეს შესაბამისი ეტიკეტები (წებვადი ქაღალდით ან სხვა საშუალებით), რომელზეც განთავსებული იქნება დაწესებულების მიერ მინიჭებული შიდა ნომერი (მზარდი ნუმერაციით: 1; 2; 3 და ა.შ) და ბავშვების ჯგუფის ნომრები.

რეკომენდირებულია, მაგრამ არასავალდებულო

- ერთჯერადი ჭიქები და დისპენსერის ავზის მასალა დაშვებული იყოს სასმელი წყლის შესანახად, დაშვების დადასტურება უნდა მოხდეს ავზის მწარმოებლის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტით, სერტიფიკატით ან სხვა რომელიმე დამადასტურებელი დოკუმენტით (მაგ: შესაბამისობის დეკლარაცია, ეტიკეტი, ანოტაცია, კონტეინერზე დატანილი სიმბოლო და სხვა);
- დაწესებულებაში ყველა ჯგუფურ ოთახში გათვალისწინებული იყოს სასმელი წყლის დისპენსერები;

- წყლის დისპენსერების გამოყენების შემთხვევაში ბავშვებს ზედამხედველობის უწევდეს უფროსი;
- თითოეულ ბავშვს მიეცეს საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის საბავშვო ბაღში ტარების უფლება (ან საბავშვო ბაღმა დაარიგოს იგი).

გ) ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება წყლის შადრევნის საშუალებით - წყლის შადრევნები ძირითადად შეიძლება გამოყენებული იყოს გარე სივრცეში და ის არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ბავშვებისთვის წყლის მიწოდების ერთადერთი ალტერნატივა. გასათვალისწინებელია, რომ შადრევნები ადაპტირებული უნდა იყოს ბავშვების ზომაზე.

შადრევნის საშუალებით სასმელი წყლის მიწოდების შემთხვევაში გასათვალისწინებელია გარკვეული საკითხები, კერძოდ:

- სასმელი წყალი შეიძლება არასასიამოვნო კონდიციის იყოს (თბილი, უცხო სუნის, ფერისა და გემოს მქონე), რაც შეიძლება დადგინდეს წყლის ორგანოლეპტიკური შეფასებით;
- არ იყოს საკმარისი რაოდენობით წყლის წერტილები.

დ) ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება დაფასოებული/ჩამოსხმული სახით, შესაბამის ტარაში - დაფასოებული/ჩამოსხმული სასმელი წყლის შესყიდვის შემთხვევაში, სასმელი წყლის სათანადო რაოდენობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას ბიუჯეტში გამოყოფილი უნდა ქონდეს შესაბამისი ფინანსური რესურსი.

1.3. სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

სასმელი წყლის უვნებლობისა და ხარისხის მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს[1], რაც დასტურდება ლაბორატორიული გამოცდის ოქმებით.

ლაბორატორიული გამოცდების ოქმების წარმოდგენის სიხშირე დამოკიდებულია სასმელი წყლის მიწოდების წყაროზე. კერძოდ, ცენტრალიზებული წყალმომარაგების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია **წელიწადში ერთხელ** აიღოს და განახორციელოს სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა შემდეგ მაჩვენებლებზე:

- მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები;
- საერთო კოლიფორმული ბაქტერიები;
- E.coli.

---

[1] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N:58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

ეპიდ. ჩვენების შემთხვევაში, რომელიც ასოცირდება სასმელ წყალთან ან დაწესებულების შიდა ქსელის დაზიანების შემთხვევაში, დაწესებულებას შესაძლებელია დამატებით დასჭირდეს სასმელი წყლის სინჯის ლაბორატორიული შემოწმება.

არტეზიული ჭიდან წყალმომარაგების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია **წელიწადში 2-ჯერ** აიღოს და განახორციელოს სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა შემდეგ მაჩვენებლებზე:

- სუნი;
- გემო;
- ფერიანობა;
- სიმღვრივე;
- მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები;
- საერთო კოლიფორმული ბაქტერიები;
- E.coli;
- PH;
- აზოტისფორმები (ამიაკი, ნიტრატი, ნიტრიტი);
- ქლორიდები;
- სულფატები;
- ჟანგვადობა;
- სიხისტე.

წყალდიდობების და სხვა სტიქიური მოვლენების შემდგომ დაწესებულება ასევე ვალდებულია **დამატებით განახორციელოს** სასმელი წყლის ლაბორატორიული ანალიზი.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სასმელი წყლის სინჯის აღება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით[2] დაწესებულებაში არსებული სამზარეულოს ონკანიდან, ნიმუშის აღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ (აკრედიტებული ლაბორატორიის თანამშრომელი), ხოლო სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოცდა უნდა განხორციელდეს აკრედიტებულ ლაბორატორიაში[3]. ლაბორატორიული გამოცდის ოქმები უნდა ინახებოდეს დაწესებულებაში 2 წლის განმავლობაში და მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარედგინოს სახელმწიფო მაკონტროლებელ უწყებებს.

სასმელი წყლის სინჯში საერთო კოლიფორმული ბაქტერიების და E.coli აღმოჩენის შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს მათი განსაზღვრა ხელმეორედ აღებულ წყლის სინჯში, დაბინძურების მიზეზის გამოსავლენად. ასევე დამატებით უნდა განისაზღვროს ქლორიდები, ნიტრატები და ნიტრიტები. განმეორებით აღებულ სასმელი

---

[2] *საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N:26 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების“ დამტკიცების შესახებ*

[3] *აკრედიტებული ლაბორატორიების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ: https://gac.gov.ge/ge/active-bodies*

წყლის სინჯში ლაბორატორიული გამოკვლევა უნდა მოხდეს ნაწლავის ჯგუფის პათოგენური ბაქტერიებისა და (ან) Streptococus faecalis არსებობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ განმეორებითი ლაბორატორიული გამოცდის შედეგად დადასტურდა სასმელი წყლის მაჩვენებლების დარღვევა, უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები.

ცენტრალიზებული წყალმომარაგების შემთხვევაში:

- დაწესებულებამ (საჯარო და კერძო ბაღი) დაბინძურების მიზეზის დასადგენად უნდა მიმართოს წყალმომარაგების იმ კომპანიას, რომელიც პასუხისმგებელია სასმელი წყლის უსაფრთხოებაზე და საიდანაც დაწესებულება მარაგდება სასმელი წყლით;
- დაწესებულებამ (საჯარო და კერძო ბაღი) დარღვევის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს;
- საჯარო დაწესებულებამ უნდა მიმართოს შესაბამის გაერთიანებას/დამფუძნებელ მუნიციპალიტეტს (სადაც მდებარეობს ბაღი).

არტეზიული ჭიდან წყალმომარაგების შემთხვევაში:

- საჯარო დაწესებულებამ უნდა მიმართოს შესაბამის გაერთიანებას/დამფუძნებელ მუნიციპალიტეტს სასმელი წყლის გაუვნებლობის სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.
- კერძო დაწესებულებამ სასმელი წყლის გაუვნებლობის სამუშაოები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი ძალებით.

რეკომენდებულია, მაგრამ არასავალდებულო

- წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გააჩნდეს სასმელი წყლის სამარაგო რეზერვუარი (ავზი);
- სასმელი წყლის სამარაგო ავზის მასალა უნდა იყოს დაშვებული წყლის შესანახად, დაშვების დადასტურება უნდა მოხდეს ავზის მწარმოებლის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტით, სერტიფიკატით ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტით (მაგ: ეტიკეტი, ანოტაცია, ავზზე დატანილი სიმბოლო და სხვა);
- სასმელი წყლის სამარაგო ავზი საკმარისი მოცულობის, თავდახურულ ავზს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება და ჩაუტარდება დეზინფექცია;
- სასმელი წყლის სამარაგო ავზის გაწმენდის და დეზინფექციის პერიოდულობის დასადგენად გათვალისწინებული უნდა იქნას წყლის მომწოდებელი ორგანიზაციის და წყალმომარაგების წყაროს საიმედოობა და წყალთან დაკავშირებული რისკები. ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა კრიტერიუმები, მაგალითად: წყალმომარაგების (ცენრალიზებული/არაცენტრალიზებული) სახე, ავზის მასალა, ტევადობა, მოწყობა, წყლის ხარისხი, წინა გამოცდილება, შესაბამისი ექსპერტების

რჩევები და სხვა (სასურველია დეზინფექცია ჩატარდეს არა ნაკლებ თვეში ერთხელ, ან უფრო ხშირად);

- სასმელი წყლის სამარაგო ავზის დეზინფექცია უნდა განხორციელდეს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებებით. აღნიშნული საშუალებების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: https://www.ncdc.ge/#/blog/blog-list/b7130a40-b29f-4c2a-b258-c213a04e2769 ;
- სასმელი წყლის სამარაგო ავზის დეზინფექციის პერიოდულობის კონტროლის მიზნით, აუცილებელია ჩატარებული სამუშაოების სათანადო აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში;
- სასურველია სასმელი წყლის ავზის დეზინფექცია ჩატარდეს ყოველთვიურად, ხოლო ავზში წყლის ცვლა განხორციელდეს ყოველ 48 საათში;
- სასმელი წყლის სამარაგო ავზის დეზინფექცია სასურველია ჩაატაროს სპეციალიზირებულმა კომპანიამ, ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა შესაძლებელია დაწესებულებამ აღნიშნული სამუშაო განახორციელოს საკუთარი ძალებით;
- გარკვეული პერიოდულობით (წელიწადში 2-ჯერ, ან უფრო ხშირად) განხორციელდეს სასმელი წყლის სამარაგო ავზიდან გამომავალი წყლის სინჯის აღება ლაბორატორიული გამოცდის ჩატარების მიზნით;
- ლაბორატორიული გამოცდა უნდა ჩატარდეს შემდეგ მაჩვენებლებზე: მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები; საერთო კოლიფორმული ბაქტერიები; E.coli.
- რეცხვა-დეზინფექციის ეფექტიანობის დადასტურების მიზნით, აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს ჩამონარეცხები რეზერვუარიდან მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე, კერძოდ: მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები; საერთო კოლიფორმული ბაქტერიები; E.coli.

1.4. სასმელი წყლის გაუვნებლობა - მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება წინასწარგანსაზღვრული წესის მიხედვით ახორციელებს იმ სასმელი წყლის გაუვნებლობას, რომელიც დაუცველი წყაროდან მოეწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით.

სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების მიერ უნდა ხორციელდებოდეს იმ სასმელი წყლის გაუვნებლობა, რომელიც დაუცველი წყაროდან მიეწოდება.

სასმელი წყლის გაუვნებლობა უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მეთოდებისა და წესების გამოყენებით[4].

სასმელი წყლის სამარაგო ავზის არსებობის შემთხვევაში, ორგანიზაცია ვალდებულია გარკვეული პერიოდულობით განახორციელოს ავზის რეცხვა და დეზინფექცია.

სასმელი წყლის გაუვნებლობის და სამარაგო ავზის (არსებობის შემთხვევაში) რეცხვა-დეზინფექციის სამუშაოები უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით **(დანართი N4).**

საჯარო ბაღმა სასმელი წყლის გაუვნებლობის სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ უნდა მიმართოს შესაბამის მუნიციპალიტეტს, ხოლო კერძო ბაღმა სასმელი წყლის გაუვნებლობის სამუშაოები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი ძალებით.[5]

დაწესებულებამ სასმელი წყლის გაუვნებლობისთვის შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად: სასმელი წყლის ფილტრაცია, ქლორშემცველი ნივთიერებებით, ოზონით, ულტრაიისფერი სხივებით დამუშავება და სხვა. სასმელი წყლის გაუვნებლობის მეთოდი და სიხშირე უნდა დაადგინოს დაწესებულებამ. აღნიშნული დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე მ.შ. დაუცველი წყაროდან მოწოდებული ნედლი წყლის ხარისხზე. ამასთან, აუცილებელია სასმელი წყლის გაუვნებლობის მეთოდი და სიხშირე შეთანხმებული იყოს შესაბამის სამსახურებთან. ეს შეიძლება იყოს წყალმომარაგების კომპანია ან ამ მიზნით დაქირავებული სხვა ორგანიზაცია.

რეკომენდირებულია, მაგრამ არასავალდებულო

გაუვნებლობის მაგალითი

დაუცველი წყაროს (ჭა) გაუვნებლობის დროს ხორციელდება:

- ჭის წინასწარი დეზინფექცია;
- ჭის გაწმენდა;
- ჭის განმეორებითი დეზინფექცია.

ჭის წინასწარი დეზინფექცია:

- წყლის მოცულობა განისაზღვრება დეზინფექციის ჩატარებამდე, ჭის ფართობის ($მ^2$) და წყლის სვეტის სიმაღლის (მეტრი) ნამრავლით;

---

[4] *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინიტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N: 297/ნ ბრძანება - გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ, სანიტარიული წესები და ნორმები „ჰიგიენური მოთხოვნები არაცენტრალიზებული წყალმომარაგების წყლის ხარისხისადმი, წყაროების სანიტარიული დაცვა“*

[5] *მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინიტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N: 297/ნ ბრძანება*

- შახტის ტანის გარე და შიგა ნაწილს 5%-იან ქლორიანი კირის ხსნარს ან სხვა სადეზინფექციო ხსნარს ასხურებენ ისე, რომ 1 $მ^2$ ზედაპირზე 0,5 ლ ხსნარი მოდიოდეს;
- თუ ცნობილია ჭაში წყლის მოცულობა, მისი ქვედა (წყლიანი) ნაწილის დეზინფექცია ქლორშემცველი პრეპარატებით ხდება ისე, რომ ჭაში 1 ლ ($მ^3$) წყალზე მოდიოდეს 100-150 მგ (გ) აქტიური ქლორი;
- წყალს კარგად ურევენ, ჭას სახურავს ახურავენ და ტოვებენ 1,5-2 საათის განმავლობაში, ამ დროს დაუშვებელია, წყლის ამოღება.

ჭის გაწმენდა:

- ჭის გაწმენდა ხდება წინასწარი დეზინფექციის ჩატარებიდან 1,5-2 საათის შემდეგ;
- ჭიდან მთლიანად ამოქაჩავენ წყალს, ასუფთავებენ უცხო საგნებისაგან და დაგროვილი ლამისაგან. შახტის კედლებს მცენარეებისაგან და ჭუჭყისაგან მექანიკური გზით ასუფთავებენ;
- ჭიდან ამოღებული ჭუჭყი და ლამი სანაგვეზე გააქვთ ან 30 მეტრის დაშორებით 0,5მ სიღრმის ორმოში ყრიან და მიწას გადააყრიან, ორმოს წინასწარ ამუშავებენ 10%-იანი ქლორიანი კირის ან სხვა სადეზინფექციო საშუალებით;
- აუცილებლობის შემთხვევაში, გაწმენდილი ჭის კედლებს არემონტებენ, შემდეგ კი შახტის შიგა და გარე ნაწილებს ქლორიანი კირის 5%-იან ან სხვა სადეზინფექციო ხსნარს ასხურებენ - ანგარიშით 0,5 ლ შახტის მოცულობის $მ^3$-ზე.

ჭის განმეორებითი დეზინფექცია:

- ჭის კედლების გაწმენდის, რემონტისა და დეზინფექციის შემდეგ, ხდება მისი განმეორებით დეზინფექცია;
- გარკვეული დროის განმავლობაში ჭა ხელახლა ივსება წყლით, შემდეგ ხელმეორედ საზღვრავენ წყლის მოცულობას ($მ^3$) და შეიტანენ ქლორიანი კირისა ან სხვა სადეზინფექციო საშუალებას, ისეთი ანგარიშით რომ 1 ლ($მ^3$) წყალზე მოდიოდეს 100-150 მგ(გ) აქტიური ქლორი;
- ჭაში სადეზინფექციო ხსნარის შეტანის შემდეგ წყალს ურევენ 10 წუთის განმავლობაში, ხურავენ და აყოვნებენ 6 სთ, ამ დროს, დაუშვებელია, წყლის ამოღება;
- აღნიშნული დროის შემდეგ წყალში საზღვრავენ ნარჩენი ქლორის არსებობას თვისობრივად: სუნით ან იოდომეტრიული მეთოდით.
- თუ წყალში ნარჩენი ქლორი აღარ არის, წყალს უმატებენ სადეზინფექციო პრეპარტის თავდაპირველ რაოდენობის 0,25-0,3-ს და აყოვნებენ 3-4 საათს;
- ნარჩენი ქლორის არსებობაზე განმეორებითი შემოწმებისა და დადებითი შედეგების მიღების შემდეგ წყალს ამოქაჩავენ ქლორის მკვეთრი სუნის გაქრობამდე;

- მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წყალი გამოიყენონ სასმელად და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

1.5. დაწესებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს კანალიზაციით

დაწესებულებაში საკანალიზაციო სისტემა შესაძლებელია მოწყობილი იყოს ცენტრალიზებულად ან ადგილობრივად. ადგილობრივი კანალიზაციის არსებობის შემთხვევაში იგი უნდა მიუერთდეს საასენიზაციო ორმოს/სეპტიკურ ავზს. საასენიზაციო ორმო არის ნაგებობა, რომელიც მდებარეობს მიწის ქვეშ, მისი ფსკერი, კედლები აშენებულია წყალგაუმტარი მასალით. სეპტიკური ავზი არის პოლიეთილენის ავზი, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ტევადობის.

გარე სანიტარიული კვანძის არსებობის შემთხვევაში იგი არ უნდა მდებარეობდეს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. სანიტარული კვანძის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 30 მ-ს.

საასენიზაციო ორმოს/სეპტიკური ავზის გამოყენებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

- გარე სანიტარიულ კვანძს უნდა გააჩნდეს საასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით.
- სან. კვანძის სავენტილაციო მილი გარედან დაფარული უნდა იყოს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადით.
- სან. კვანძს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი (ფანჯარა, სარკმელი ან ფრამუგი) და ხელოვნური განათება (ვარვარა ან ლუმინესცენციური ნათურა).
- სან. კვანძს უნდა ჰქონდეს ფუნქციური ხელსაბანი (შემრევი ონკანი, ცხელი და ცივი წყლით).
- სან. კვნძთან მისასვლელი გზა უნდა იყოს მოპირკეთებული (მაგალითად: მობეტონებული, მოასფალტებული ან მოკირწყლული ბილიკი).

დაწესებულებას უნდა ქონდეს წინასწარგანსაზღვრული წესი საასენიზაციო ორმოს/სეპტიკური ავზის დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით **(დანართი N5).**

საასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი ¾-ით შევსებისთანავე უნდა დაიცალოს ვაკუუმური ავტოცისტერნების საშუალებით და შემდგომ დამუშავდეს სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით.

თუ დაწესებულებაში არ არის უზრუნველყოფილი მუდმივი წყლის მიწოდება, სანიტარული კვანძების წყალმომარაგების მიზნით აუცილებელია:

- დაწესებულებაში შესაბამის ადგილზე დამონტაჟებული იყოს სამარაგე ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით;
- სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი უნდა გამოიყენებოდეს, მხოლოდ ტუალეტების ჩასარეცხად, ეზოს/გარე სივრცის დასუფთავებისა და მორწყვისთვის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემებში და სამშენებლო და სარემონტო სამუშაობის წარმოებისას.

კატეგორიულად დაუშვებელია: ტექნიკური წყლის გამოყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, პირადი ჰიგიენისთვის, დასუფთავებისა და რეცხვისთვის. ამასთან, ტექნიკური წყალი ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელი უნდა იყოს, რაც უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს დაწესებულების მხრიდან.

ტექნიკური წყლის კონტროლის მიზნით რეკომენდირებულია:

- მოხდეს ტექნიკური წყლის სამარაგე ავზის მარკირება (მასზე განთავსდეს წარწერა „ტექნიკური წყალი“);
- დაწესებულებაში ტექნიკური წყლის მიწოდება მოხდეს სასმელი წყლის მილებისგან განცალკავებული მილებით;
- ტექნიკური წყალმომარაგების მილები შეიღებოს წითელი საღებავით და მასზე დამონტაჟებული ონკანის გახსნა ბავშვისთვის შეუძლებელი იყოს.

თავი II. მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი

დაწესებულების პერსონალის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს ჯგუფური ოთახის განათების დონე, ჰაერის სისუფთავე და ტემპერატურული რეჟიმი, რადგან სწორედ აღნიშნულ ფაქტორები ახდენს ყველაზე დიდ ზეგავლენას ბავშვის ორგანიზმზე.

განათების დონე მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- მზის სინათლე, კერძოდ კი ულტრაიისფერი სხივები, ხელს უწყობს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, ვიტამინი D-ს გამომუშავებას ორგანიზმში, ასევე ამცირებს ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს;

- დაწესებულების ოთახებში არასაკმარისი განათებულობის პირობებში ბავშვები ძალზე დაბლა ხრიან თავს სხვადასხვა სამაგიდო აქტივობის დროს (მაგ. ხატვა, აპლიკაციების დამზადება და სხვა). აღნიშნული იწვევს სისხლის ჭარბი ნაკადის მოდინებას მხედველობის ორგანოზე და წნევის მატებას, რაც განაპირობებს მისი ფორმის ცვლილებას და ახლომხედველობის განვითარებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის თავიდან ასაცილებლად საჭიროა საბავშვო ბაღის ოთახებში კარგი ბუნებრივი და ხელოვნური განათების დაცვა.

ჰაერის სისუფთავე მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ჰაერში დიდი რაოდენობითაა სხვადასხვა წარმოშობის მინარევი: მტვერი, კვამლი, სხვადასხვა აირი. ყოველივე აღნიშნული კი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ორგანიზმზე. გარდა მტვერისა, ჰაერში ასევე არის მიკროორგანიზმები - ბაქტერიები, სპორები, ობის სოკოები და სხვა;
- განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიკროორგანიზმებია დახურული სათავსების ჰაერში. ჰიგიენური თვალსაზრისით ნორმალური საჰაერო გარემო დაწესებულებაში წარმოადგენს მნიშვნელოვან პირობას ბავშვების ჯანმრთელობისა და მაღალი შრომისუნარიანობისათვის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დაწესებულებაში დადგენილი პერიოდულობით და სიხშირით ხორციელდებოდეს სათავსების აერაცია.

ტემპერატურული რეჟიმი მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- გარემოს მაღალი ტემპერატურა აძნელებს სითბოს გაცემას, რაც განაპირობებს სხეულის ტემპერატურის ზრდას. ამასთან, გახშირებულია პულსი და სუნთქვა, ვითარდება დაღლილობა და ეცემა შრომისუნარიანობა. დაბალი ტემპერატურისას კი ადგილი აქვს დიდ თბოდანაკარგებს, რაც ორგანიზმის გადაცივების მიზეზი შეიძლება გახდეს;

- ჰაერის მაღალი ტენიანობისა და დაბალი ტემპერატურის პირობებში მნიშვნელოვნად იმატებს გაციებასთან დაკავშირებული დაავადებების რისკი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია რომ დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს ჰქონდეს ბუნებრივი განათება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს განიავების შესაძლებლობასაც.

დაწესებულების მიერ შენობის განიავებისას აუცილებელია დაცული იყოს შემდეგი მოთხოვნები:

- ბავშვების ჯგუფური ოთახები და საძინებელები უნდა ნიავდებოდეს რეგულარულად (ყოველდღიურად);
- განიავება უნდა განხორციელდეს ორპირი/ერთმხრივი/გვერდითი/გამჭოლი მეთოდებით;
- ორპირი და გვერდითი განიავება დასაშვებია მხოლოდ ბავშვების არყოფნის დროს (მათ მოსვლამდე, მათი სხვა სივრცეში ყოფნისას ან სეირნობისას) და უნდა დასრულდეს 20-30 წუთით ადრე ბავშვების ჯგუფებში დაბრუნებამდე;
- ერთმხრივი განიავება შესაძლებელია ბავშვების შენობაში ყოფნის დროს;
- წელიწადის თბილ პერიოდში რეკომენდებულია შენობის განუწყვეტელი აერაცია, ცივ პერიოდში დასაშვებია ჰაერის ტემპერატურის ხანმოკლე დაქვეითება 18^{0}C-მდე სკოლამდელი (2 წლის ზევით) და 19^{0}C-მდე ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვებისათვის;
- საძინებელ ოთახებში გამჭოლი განიავება უნდა ხორციელდებოდეს ბავშვების არყოფნის დროს. წელიწადის ცივ დროს სარკმლები, ფრამუგები უნდა დაიკეტოს ბავშვების დაძინებამდე 30 წუთით ადრე, შემდეგ გაიღოს ძილის დროს ცალმხრივად და დაიკეტოს გაღვიძებამდე, ადგომამდე 30 წუთით ადრე. წლის თბილ სეზონზე ძილის დროს ფანჯრები ღია უნდა იყოს (გამჭოლი ქარის მორიდებით). საძინებელ ოთახებსა და ვერანდებს უნდა ჰქონდეთ მზისგან დამცავი მოწყობილობები (ფარდები, ჟალუზები).

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ბავშვების ჰაერზე ყოფნა/გასეირნება წინასწარ დადგენილი ხანგრძლივობით, რაც უნდა დასტურდებოდეს დღის განრიგით.

მნიშვნელოვანია დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა. სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N6-ში.**

დაწესებულებაში ტემპერატურული რეჟიმის კონტროლისთვის სავალდებულოა თერმომეტრები დამონტაჟდეს/განთავსდეს კედელზე იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე, ბავშვების სიმაღლის შესაბამისად.

რეკომენდებულია გათვალისწინებული იქნას შემდეგი:

- ზამთარში ტემპერატურული მაჩვენებელი + 21^{0}C;
- ზაფხულში ტემპერატურული მაჩვენებელი + 24-26^{0}C;[6]
- დაწესებულებაში ტემპერატურის გარდა, უზრუნველყოფილი იყოს ფარდობითი ტენიანობის გაზომვა და მისი კონტროლი (განსაკუთრებით საძინებელ, ჯგუფურ ოთახებში და დარბაზებში);
- ფარდობითი ტენიანობის რეკომენდირებული ნორმებია: ზამთარში - მინიმალური მაჩვენებელი 35%, ზაფხულში - მაქსიმალური 50%;
- დაწესებულებაში ტემპერატურის და ფარდობითი ტენიანობის გასაზომად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ჰიგროთერმომეტრი;
- დაწესებულებაში არსებული თერმომეტრების ან ჰიგროთერმომეტრების დაკალიბრება (მათი ეტალონთან შედარება), რომელიც ხორციელდება საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში[7].

[6] *წყარო: გაიდლაინი „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღში“*
[7] *მის: ქ. თბილისი, 0178, ჩარგლის ქ. 67 ტელ: (995 32) 261 25 30; geostm@geostm.ge*

თავი III. მოთხოვნები სანიტარულ-ჰიგიენური (ნორმებისადმი) პირობების დაცვისადმი

შენობების შიდა სათავსებისა და ეზოს, დასალაგებელი და სხვა ინვენტარის, სანიტარიული კვანძების ეფექტიანი დასუფთავება, რეცხვა და დეზინფექცია, განაპირობებს დაწესებულებაში ინფექციური დაავადებების აღმოცენების და გავრცელების პრევენციას და შესაბამისად ბავშვების ჯანმრთელობის დაცვას. ამ მიზნით აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

- მთელი შენობის გენერალური დასუფთავება უნდა მოხდეს ყოველთვიურად.
- გენერალური დასუფთავება ხორციელდება სველი წესით (სასმელ წყალში დასველებული ტილო), სარეცხი საშუალებების გამოყენებით (საპონი, კალცინირებული სოდა, სინთეზური სარეცხი საშუალებები) ღია ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში;
- ფანჯრის მინები შიგნიდან და გარედან უნდა გაიწმინდოს დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით და დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ **წელიწადში არანაკლებ ორჯერ** (შემოდგომასა და გაზაფხულზე), აღნიშნული უნდა დადასტურდეს სტანდარტული საოპერაციო პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით;
- სადეზინფექციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრული საჭიროებიდან და ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაბამისი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად. საჭიროების განსაზღვრას დაწესებულება უნდა ახდენდეს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. საჭიროების განსაზღვრისთვის შესაძლებელია ასევე გათვალისწინებული იქნას დაწესებულების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და ბავშვების რაოდენობა.

გენერალური დასუფთავების და სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელება უნდა დადასტურდეს სტანდარტული საოპერაციო პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით **(დანართი N7).**

დეზინფექციისათვის უნდა გამოიყენებოდეს სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის[8] მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიკური პრეპარატები/კომპოზიციები (მაგ.: 0,5%-1.0% ქლორისა და ქლორამინის ხსნარი, 0,5% კალციუმის ჰიპოქლორიტი, ქლორდეზინი (0,5%) და სულფოქლორანტინი (0,2%)), ან სხვა ნებისმიერი რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალება https://www.ncdc.ge/#/blog/blog-list/b7130a40-b29f-4c2a-b258-c213a04e2769.

[8] *მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, 99; ცხელი ხაზი: 116 001; info@ncdc.ge*

მიმდინარე დასუფთავება ხორცილდება კანონმდებლობით დადგენილი მეთოდებით და პერიოდულობით, კერძოდ:

- იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სივრცეები უნდა დასუფთავდეს სველი წესით დღეში ორჯერ;
- დაწესებულების ყველა სათავსის დასუფთავება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, სველი წესით, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში (სადაც ეს შესაძლებელია);
- ავეჯის ზედაპირიდან (არაუმეტეს 2 მეტრს სიმაღლეზე), გამათბობელი მოწყობილობიდან, განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარის სახელური, კარადის სახელურების და სხვა), ფანჯრის რაფებიდან მტვერი სველი წესით უნდა გაიწმინდოს ყოველდღიურად;
- ბავშვების ტანსაცმლის კარადები ყოველდღიურად უნდა გაიწმინდოს შესაბამისი ზედაპირების მოვლისათვის განკუთვნილი საშუალებით. კვირაში ერთხელ ირეცხება/მუშავდება სველი წესით;
- გამწოვი ვენტილაციის ჟალუზები სისტემატურად უნდა გაიწმინდოს დაბინძურების შესაბამისად (რეკომენდირებულია: კვირაში ერთხელ ან საჭიროებიდან გამომდინარე უფრო ხშირად).
- დაწესებულებაში მიმდინარე დასუფთავებისთვის შემუშავებული უნდა იყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N8-ში.**
- ჯგუფურ ოთახებში მაგიდების და სკამების წმენდისთვის უნდა შემუშავდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N9-ში.**

გარდა სათავსების დასუფთავებისა, მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულებაში არსებული აღჭურვილობისა და მატერიალური რესურსის სისუფთავეზე ზრუნვა. ამისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- დაწესებულებაში სათამაშოების რეცხვის და დეზინფექციისთვის შემუშავებული უნდა იყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N10-ში.**
- დაწესებულებაში თეთრეულის გამოცვლისთვის შემუშავებული უნდა იყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N11-ში.**
- დაწესებულებაში ლოგინის, ხალიჩების, საფენების დასუფთავების, რეცხვის და დეზინფექციის დადასტურებისთვის შემუშავებული უნდა იყოს სტანდარტული

ოპერაციული პროცედურა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N12-ში.**

- დაწესებულებას ქიმიური წმენდისთვის გაფორმებული უნდა ქონდეს ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან.

სანიტარული კვანძებში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის მიზნით გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხების დაცვა:

- სანიტარიულ კვანძში იატაკი, ხელსაბანი ნიჟარები და უნიტაზები/პისუარები ტექნიკურად გამართული უნდა იყოს (შემოწმება უნდა მოხდეს ყოველდღიურად) და გაირეცხოს დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ დღეში ორჯერ, თბილი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, ლაქების მოსაცილებლად არანაკლებ თვეში ორჯერ უნდა გაირეცხოს შესაბამისი პრეპარატით, რაც უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N13-ში.**
- დაწესებულებაში არსებული ყველა სანიტარიული კვანძი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტუალეტის ქაღალდით.
- დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საპონი ბავშვებისთვის და პერსონალისთვის (WASH ინდიკატორი).
- დაწესებულებაში არსებული ყველა ხელსაბანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელის გასამშრალებლით (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის ხელსახოცის დისპენსერი) და უკონტაქტო ხელმისაწვდომობის (ფეხის სატერფულიანი) თავსახურიანი ნაგვის ურნით.
- დაწესებულებაში ღამის ქოთნების (არსებობის შემთხვევაში) რეცხვის და დეზინფექციისთვის შემუშავებული უნდა იყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N14-ში.**
- სანიტარიული კვანძის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებული (რეკომენდირებულია: მარკირებისთვის გამოყენებული იყოს წარწერით მარკირება მაგ: ინვენტარზე წარწერა „მხოლოდ სანიტარიული კვანძისთვის“ ან ფერის მიხედვით მარკირება, მაგ: დასალაგებელი ინვენტარი წითელი ფერით) უნდა იყოს და ინახებოდეს სპეციალურ კარადაში სანიტარული კვანძის სიახლოვეს.
- სანიტარიული კვანძის იატაკის საფარი დამზადებული უნდა იყოს მოცურების საწინააღმდეგო მასალისაგან, რომელიც შეინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც.
- სანიტარიული კვანძის კედლები მოპირკეთებული უნდა იყოს კერამიკული ფილებით არანაკლებ იატაკიდან 1.5-მ-ის სიმაღლეზე ან დამუშავდეს წყალმედეგი საღებავით, რომელიც დაექვემდებარება სველი წესით წმენდასა და დეზინფექციას.

- დაწესებულების ეზოში არსებული ტუალეტები სანიტარიული წესებისა და ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად უნდა იქნეს მოწყობილი, კერძოდ: უნდა ექვემდებარებოდეს რეცხვას და დეზინფექციას (იატაკი, კედლები, ჭერი), შემოყვანილი უნდა იყოს წყალი, ტუალეტში განთავსებული უნდა იყოს ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ერთჯერადი ხელსახოცები.
- დასალაგებელი ინვენტარი ხმარების შემდეგ უნდა გაირეცხოს ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, რაც უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N15-ში.**

რეკომენდირებულია, მაგრამ არასავალდებულო

- დაწესებულების ხელსაბანებში ხელმისაწვდომი იყოს თხევადი საპონი, მძაფრი სუნის არმქონე და არაალერგიული.
- სან-კვანძებს გარკვეული პერიოდულობით (კვირაში ერთხელ) უნდა ჩაუტარდეს გეგმური დეზინფექცია რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
- დაწესებულების წლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს სანიტარიული კვანძების დასუფთავების, საპნითა და ხელის გამშრალების საშუალებით უზრუნველყოფის ხარჯები;
- დაწესებულების ეზოში არსებული ტუალეტის შიგნითა ზედაპირი და კარების სახელური ყოველდღიურად უნდა გაირეცხოს 1%-იანი ქლორამინის ან სხვა სადეზინფექციო ხსნარით.

დასასუფთავებელი ინვენტარი, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები.

დაწესებულებას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა. დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების სტანდარტული ჩამონათვალი შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ურიკა (ინვენტარისა და საშუალებების გადასაადგილებლად);
- შვაბრა სველი დამუშავებისათვის;
- ორგანყოფილებიანი ვედრო/სათლი: სუფთა წყალი/სარეცხი საშუალებიანი სითხე;
- აქანდაზი და ცოცხი, მტვერსასრუტი;
- ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი;
- მუშამბის წინსაფარი სანიტარიულ კვანძში ოპერირებისათვის;
- ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისათვის და ავეჯისთვის;
- საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი);

- ჰაერის დეზოდორი;
- ხის ავეჯის დასამუშავებელი;
- ტყავის ზედაპირების დასამუშავებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სარეცხი ფხვნილი (გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ტილოების გასარეცხად);
- ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი;
- სითხე იატაკის წმენდისა და გაპრიალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.);
- უნიტაზის დასამუშავებელი სითხე;
- შუშის საწმენდი;
- ნიკელის, ლატუნის და ლითონის სხვა ზედაპირების დასამუშავებელი საშუალება; ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება;
- დიდი და პატარა ნაგვის პარკების რულონები;
- სადეზინფექციო ხსნარი, დასალაგებელი დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ.

საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები უნდა ინახებოდეს პირვანდელი შეფუთვით (რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით) ბავშვებისათვის და გარეშე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას, სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში. ქიმიური ნივთიერებების გამოყენებისა და დასაწყობების არეალებში, თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს განთავსებული თითოეული ქიმიური საშუალებისადმი უსაფრთხო მოპყრობის საინფორმაციო ფურცელი, რათა უზრუნველყოფილი იქნას დროული და მართებული რეაგირება ქიმიური მოწამვლების თავიდან ასაცილებლად.

დაწესებულების ეზოს/გარე სივრცის, აღჭურვილობის დასუფთავებისთვის და ეზოს მორწყვისთვის შემუშავებული უნდა იყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N16-ში.**

ეზოში/გარე სივრცეში არსებულ საქვიშე აღჭურვილი უნდა იყოს დახურვის მექანიზმით.

ქვიშის შეცვლა ყუთებში უნდა განხორციელდეს დაბინძურების შესაბამისად, რაც უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N17-ში.**

დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება). ამ მიზნით რეკომენდირებულია ეზოს ტერიტორიაზე მოეწყოს დრენაჟის სისტემა.

თავი IV. მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი

დაწესებულებაში დანერგილი ეფექტიანი დასუფთავება და ნარჩენების მართვა უზრუნველყოფს დაწესებულების პერსონალის და ბავშვების დაცვას დაავადების გადამტანებისაგან (ცხოველები, მწერები), მინიმიზებულია დაავადების გადამტანების გავრცელების საფრთხე, პერსონალი და ბავშვები დაცულია სხვადასხვა ინფექციური დაავადებების აღმოცენების და გავრცელებისგან.

დაწესებულებაში შესაძლებელია წარმოიქმნას ნარჩენების შემდეგი ტიპები:

1) სასურსათო ნარჩენები;
2) სამედიცინო (სახიფათო) ნარჩენები;
3) საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

ზემოაღნიშნული ნარჩენების შესაგროვებლად დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს ნარჩენების თავდახურული ურნები/კონტეინერები. ნარჩენების ურნების/კონტეინერების დაცლა უნდა მოხდეს მათი 3/4-ით გავსებისთანავე.

რეკომენდებულია, მაგრამ არასავალდებულო

- დაწესებულებას ნარჩენების გატანის მიზნით გაფორმებული ქონდეს ხელშეკრულება დასუფთავების სამსახურთან;
- მოხდეს სასურსათო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების ურნების/კონტეინერების მარკირება შესაბამისი წარწერით: „სასურსათო ნარჩენები“; „საყოფაცხოვრებო ნარჩენები“, „სამედიცინო (სახიფათო) ნარჩენები“.

დასუფთავების, ნარჩენების გატანის, ნაგვის ურნების, ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების დეზინფექციის დადასტურების მიზნით, დაწესებულებაში შემუშავებული უნდა იყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემა. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N18-ში.**

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების განთავსების სივრცის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია), რაც უნდა დადასტურდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით. აღნიშნული პროცედურისთვის შემუშავებული სოპ-ის ნიმუში მოცემულია **დანართი N19-ში.**

მავნებლებში მოიაზრება:

- მღრღნელები, მაგ. თაგვები და ვირთხები.
  მავნებლების არსებობის კვალი: მცირე ზომის ნაკვალევი, მღრღნელების ექსკრემენტები, ხვრელები კედლებსა და კარებზე, სოროები, გაღრღნილი პროდუქტები ან შეფუთვა, შარდის ლაქები.
- მცოცავი და მფრინავი მწერები.
  მავნებლების არსებობის კვალი: მკვდარი და ცოცხალი მწერები, მატლები, ობობის ქსელები და ბუდეები.
- ტარაკნები
  მავნებლების არსებობის კვალი: ჭუპრი, გამოცვლილი კანი, უშუალოდ ტარაკნები და მათი ექსკრემენტები.
- ჭიანჭველები
  მავნებლების არსებობის კვალი: ქვიშის ან მიწის მცირე გროვები, თავად მცოცავი და მფრინავი ჭიანჭველები, განსაკუთრებით ცხელ დღეებში.
- ფრინველები
  მავნებლების არსებობის კვალი: ბუმბული, ექსკრემენტები, ბუდეები, მათ მიერ გამოცემული ხმები და თავად ფრინველები.
- ხოჭოები
  მავნებლების არსებობის კვალი: მოძრავი მწერები, განსაკუთრებით მშრალ სურსათში; მცირე ზომის მატლები/ჭუპრები.

სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარების მიზნით აუცილებელია დაწესებულებამ გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამის კონტრაქტორ კომპანიასთან. კონტრაქტორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემოწმებას ყველა ტიპის მავნებლის არსებობაზე, ინფრასტრუქტურის შესაფერისობაზე და კონტრაქტორი კომპანია უნდა ახორციელებდეს ნებისმიერი ტიპის ინვაზიის აღმოფხვრას. კარგი რეპუტაციის მქონე მავნებლების კონტროლის განმახორციელებელი კომპანია უნდა იძლეოდეს რეკომენდაციებს დაწესებულებაში სისუფთავისა და შენახვის პრაქტიკის შენარჩუნების შესახებ, რომელთა გაუთვალისწინებლობამაც შესაძლოა მავნებლების შემოღწევა გამოიწვიოს. კონტრაქტორმა კომპანიამ რეალურ დროში უნდა შეძლოს გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა და ყოველი ვიზიტის შემდეგ უნდა წარადგინოს წერილობითი ანგარიში. რეკომენდირებულია ამ ანგარიშის ასლის დატოვება კომპანიის მიერ.

კონტაქტორმა კომპანიამ ასევე უნდა წარმოადგინოს გამოყენებული ქიმიური საშუალებების სია და ამ ქიმიური საშუალებების შესაბამისობის დოკუმენტები. დაწესებულებაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოების განხორციელების აქტი. პრობლემის შემთხვევაში დაწესებულება დაუყონებლივ უნდა დაუკავშირდეს მავნებლების კონტროლის განმახორციელებელ კონტრაქტორ კომპანიას და აცნობოს აღნიშნული პრობლემის შესახებ. დაწესებუელბამ თვალი უნდა ადევნოს კონტრაქტორი კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგიანობას.

თავი V. სტანდარტული ოპერაციული პროცედურები

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის N4 სტანდარტის „სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა“ 4.5. კომპონენტით „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, აუცილებელია დაწესებულებამ შეიმუშაოს, მდგრადად შეინარჩუნოს და განავითაროს სტანდარტული საოპერაციო პროცედურები (შემდგომში - სოპ-ები).

სოპ-ის ფორმატი მიზანშეწონილია მოიცავდეს შემდეგს:

დოკუმენტის ისტორია - მასში მოცემული უნდა იყოს სოპ-ის ვერსიის ნომერი, გადასინჯვის ნომერი და თარიღი, ცვლილების (საჭიროების შემთხვევაში) თარიღი, შინაარსი და ცვლილების ავტორი.

დოკუმენტის დამტკიცების სტატუსი - მასში მოცემული უნდა იყოს სოპ-ის შემმუშავებლის სახელი და გვარი და იმ პიროვნების სახელი და გვარი, რომელმაც დაამტკიცა სოპ-ი.

გამოყენების სფერო - უნდა დაიწეროს ის ეტაპი/ეტაპები, რომელზედაც ვრცელდება სოპ-ი.

დანიშნულება - უნდა დაიწეროს ის მიზანი, რის გამოც შეიქმნა სოპ-ი.

პასუხისმგებლობა - იწერება დაწესებულების ადმინისტრაციის და პერსონალის ზოგადი პასუხისმგებლობები სოპ-ის მოქმედების სფეროს გათვალისწინებით.

საფუძველი - უნდა ჩამოითვალოს ის ნორმატიული აქტები და გაიდლაინები, რომლის მიხედვითაც შექმნილია სოპ-ი.

დოკუმენტაცია/ჩანაწერები - უნდა მიეთითოს ის ჩანაწერები, რომლებიც წარმოადგენენ სოპ-ით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების მტკიცებულებას.

პროცედურის აღწერა - მასში თანამიმდევრობით უნდა გაიწეროს იმ პროცესების აღწერა, რომლებიც მიმდინარეობს დაწესებულებაში, ასევე უნდა მიეთითოს პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

მონიტორინგი - მასში მოცემული უნდა იყოს პროცედურის კონტროლის მეთოდი და სიხშირე, ასევე მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

მაკორექტირებელი ქმედება - დაწესებულების მიერ წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული, გადახრის შემთხვევაში, კონტროლის აღდგენის მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, ასევე გადაცდომის პრევენცია, ან მისი განმეორების მინიმუმამდე შემცირება.

ვერიფიკაცია - დაწესებულების მიერ წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული მეთოდები, პროცედურები, გამოკვლევები და სხვა შეფასებები, რათა დადგინდეს მოქმედებს თუ არა სოპ-ში მოცემული კონტროლის ღონისძიება შესაბამისად.

დოკუმენტაცია/ჩანაწერების შენახვა - რეკომენდირებულია დოკუმენტაცია/ჩანაწერები ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში.

სოპ-ის გადახედვა სასურველია განხორციელდეს 1-3 წელიწადში ერთხელ, საჭიროებიდან გამომდინარე. სოპის ფურცლები უნდა დაინომროს. რეკომენდირებულია სოპ-ი შემუშავდეს ცხრილის სახით და მარტივად აღქმადი ვიზუალით.

სოპ-ის შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის შემდეგ აუცილებელია დაწესებულების თანამშრომელთა ტრენინგი (სოპ-ის გაცნობა თანამშრომლებისთვის).

ქვემოთ დანართის სახით მოცემულია სოპ-ის სარეკომენდაციო ნიმუში.

სოპ-ის ნიმუში

სტანდარტული ოპერაციული პროცედურა

დოკუმენტის ისტორია				
ვერსიის N:	გადასინჯვა N: თარიღი:	ცვლილების თარიღი	ცვლილების შინაარსი	ცვლილების ავტორი

დოკუმენტის დამტკიცების სტატუსი		
შემუშავებულია:	თარიღი	ხელმოწერა
სახელი, გვარი, თანამდებობა:	რიცხვი, თვე, წელი	
დამტკიცებულია:		
სახელი, გვარი, თანამდებობა:	რიცხვი, თვე, წელი	

პროცედურა		
გამოყენების სფერო		
დანიშნულება		
პასუხისმგებლობა		
საფუძველი		
დოკუმენტაცია/ჩანაწერები		
პროცედურის აღწერა		პასუხისმგებელი პირები
	მეთოდი და სიხშირე	პასუხისმგებელი პირები
მონიტორინგი		
მაკორექტირებელი ქმედება		
ვერიფიკაცია		
დოკუმენტაცია/ჩანაწერების შენახვა		
სოპ-ის გადახედვა		